ხელშეკრულება №86

ქ. ყვარელი 30 მაისი 2012 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ ზანდარაშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „ვალო"-ს დირექტორის თეიმურაზ გრძელიშვილი, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

სოფ. ალმატში გარეგანათების რეაბილიტაციის სამუშაო (6860 ლ) და სოფ. ალმატში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაო (1485 ლ) ხელშეკრულებას ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია შესასრულებელი სმუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

2. სამუშაოს შესრულების ვადები და ღირებულება

2.1. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა 30/05-დან 30/07-მდე

2.2. შესყიდვის ობიექტი საერთო ღირებულება შეადგენს 8345 (რვაათასორმოცდახუთი) ლარს.

3.. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ფორმა №2-ს წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" ავანსის სახით უხდის ობიექტის საერთო ღირებულების 50% საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. საბანკო გარანტიის ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება.

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად განახორციელოს სამუშაოები, უზრუნველყოს ხარისხი და დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, სამუშაოს მიღება-ჩაბარებიდან ორი წლის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების პიროებების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

9 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს ამავე ხელსეკრულების მეორე პუნქტში მითითებული სამუშაოს დასრულების ვადას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

მისამართი კუდიგორის ქ. №1;

საბანკო რეკვიზიტები სს ლიბერთი ბანკის ყვარლის ფილიალი ბანკის კოდი--LBRTGE22 ანგარიში ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00 საიდენტიფიკაციო კოდი 241578574

„მიმწოდებელი“

შპს ვალო საიდენტ. კოდი 441554462

მისამართი ყვარელი, ლეონიძის ქ, 54

საბანკო რეკვიზიტები:

სს „ლიბერთი ბანკი” (ყვარლის ფილიალი 440) ბანკის კოდი--LBRTGE22

ა/ნ – GE18LB0113115130279000

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი შპს „ვალო“

ბ. ზანდარაშვილი თ. გრძელიშვილი